

On challenges of occupational health and safety in Georgia

European Business Association

June 7, 2019

The European Business Association (EBA) positively evaluates reforms based on Association Agreement (AA) between Georgia and the EU, aimed at implementing occupational health and safety (OHS) standards in the country and protecting the rights of employees.

The government has taken a number of positive steps to regulate OHS in recent years. However, there are still issues ignored which may cause harm not only to the general business environment but also to the further development of this field.

- **Active involvement of business in the process of elaboration of new regulations on the OHS, to consider the size of the companies and the peculiarities of their business sector.** The involvement of small and medium-sized enterprises (SMEs) in this process shall be given special attention. One of the most important requirements of the AA is the implementation of small and medium-sized entrepreneurial policy, which emphasizes the importance of the consultation with SMEs and taking into account their demands in the process of policy development.

- **Awareness raising for business with the use of different channels and arranging information campaigns throughout the country.**

Taking into consideration the current reality in Georgia, in particular, that this field was not regulated by the legislation for a while and there was not executive body, the market can provide neither sufficient OHS specialists nor accredited educational institutions, in order to immediately raise awareness in OHS among the business sector countrywide. However, in accordance with the current Organic Law of Georgia on Occupational Safety, the business shall ensure itself to raise awareness in OHS through special accredited programs. In the light of tens of thousands of companies in Georgia, it's obvious that only several accredited organizations are unable to prepare the relevant number of OHS specialists In order to fully cover all the areas of the economic sector. Besides, the same obligatory program for all types of

Work seems uncertain. For instance, establishing the identical standards to get the certificate in OHS for metallurgical factory and consulting/legal company will lead to ineffectiveness for the already rare profession in Georgia.

Keeping in mind the existing reality, in order to spread the knowledge faster, existing approach is recommended to be changed and the certificate of the OHS specialists should be categorized in a certain way. Moreover, instead of the requirement of attending the obligatory hours (130 hours) to get a certificate, it's preferable to be more focused on the adoption of the mechanisms how to assess the knowledge directly by the government test and to make it possible to receive the knowledge and then certificate in OHS through the online/distance-learning.

EBA expresses its readiness to take an active participation in the overcoming existing challenges such as implementation process of the labor safety standards and creating a high level of protection of employees' rights, therewith to play a significant role in the raising awareness of Labor Conditions and Health and Occupational Safety Culture in Georgia.

John Braeckveldt

Chairman

ევროპული ბიზნეს ასოციაციის პოზიცია

შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული გამოწვევების თაობაზე

07 ივნისი, 2019 წელი

ევროპული ბიზნეს ასოციაცია (EBA) დადებითად აფასებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე რეფორმებს, რომელიც მიმართულია ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვასა და დასაქმებულთა უფლებების დაცვისკენ.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მხრიდან ბოლო წლების განმავლობაში შრომის უსაფრთხოების რეგულირების მიმართულებით არაერთი პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა, არის საკითხები, რომელთა გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში შესაძლოა ზიანი მიადგეს როგორც ზოგადად ბიზნეს გარემოს, ასევე კონკრეტულად ამ დარგის შემდგომ განვითარებას. კერძოდ,

- ბიზნესის აქტიური ჩართულობა შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ახალი რეგულაციების შემუშავების პროცესში კომპანიების ზომის, ასევე სექტორული თავისებურებების გათვალისწინების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება კი უნდა დაეთმოს მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობას. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის იმპლემენტაცია, რომელიც ხაზს უსვამს პოლიტიკის შემუშავების პროცესში მცირე და საშუალო მეწარმეებთან კონსულტაციებისა და მათი მოთხოვნების გათვალისწინების მნიშვნელობას.
- ბიზნესის ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა არხების გამოყენებით და საინფორმაციო კამპანიების წარმოება მთელი ქვეყნის მასშტაბით. საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, როცა ფაქტობრივად არ არსებობდა ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა და აღმასრულებელი ორგანო, ბაზარზე არ არის საკმარისი რაოდენობის არც შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები და არც ისეთი საგანმანათლებლო

დაწესებულებები, რომლებიც საკმარისია მთელი საქართველოს მასშტაბით დაუყონებლივ აამაღლოს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ბიზნესის ცნობიერების დონე. თუმცა დღეს მოქმედი შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით, ბიზნესი თავადაა ვალდებული აიმაღლოს ცოდნა ამ მიმართულებით სპეციალური აკრედიტებული პროგრამების მეშვეობით. დღეს საქართველოში არსებული ათეულობით ათასი კომპანიის ფონზე მხოლოდ რამოდენიმე აკრედიტებული ორგანიზაცია აშკარაა, რომ ვერ უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა შესაბამისი რაოდენობის მომზადებას, რათა სრულად მოხდეს ეკონომიკური სექტორის ყველა დარგის დაფარვა. ამასთან, აკრედიტებული პროგრამების მცირე რაოდენობის გარდა, გაურკვეველია ყველა ტიპის სამუშაოებისთვის საერთო პროგრამის საჭიროება. მაგალითად მეტალურგიული ქარხნის და საკონსულტაციო/იურიდიული კომპანიის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიცირებისთვის იდენტური სტანდარტია დადგენილი, რაც არაეფექტურობისკენ მიიყვანს ისედაც იშვიათ პროფესიას საქართველოში. არსებული რეალობიდან გამომდინარე, იმისთვის რომ უფრო სწრაფად მოხდეს ცოდნის გავრცელება, მიზანშეწონილია შეიცვალოს არსებული მიდგომა და მოხდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატის გარკვეული კატეგორიზაცია. გარდა ამისა, ნებისმიერი ადამიანის გონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აკრედიტებული პროგრამის საჭირო საათების (130 საათი) გავლის დადასტურების ნაცვლად, შესაძლებელია აქცენტის გადატანა უფრო მეტად მოხდეს სახელმწიფოს მიერ პირდაპირ ცოდნის შემოწმების მექანიზმის დანერგვაზე და ცოდნის მიღება შესაძლებელი იყოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ფორმით.

ევროპული ბიზნეს ასოციაცია მზადყოფნას გამოთქვამს, მიიღოს აქტიური მონაწილეობა ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვასა და დასაქმებულთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევების დაძლევისა და საზოგადოებრივი კულტურის ამაღლებაში.